ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 4 მარტი, 2020 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
3. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
4. ნანუკა კეზევაძე - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
5. მარიამ ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ცენრი „ელკანა“

განსახილველი საკითხები:

1. მე-2 სამუშაო ჯგუფის დამტკიცებული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიხედვით დისკუსია სამომავლო გეგმებზე და ამოცანებზე, სამუშაო ქვეჯგუფების ფორმირების საკითხები;
2. ექსტენციის სტრატეგიის საბოლოო დოკუმენტის განხილვა (იხილეთ თანდართული ფაილი)
3. Executive Agency for Small and Medium-sized Enterprises (EASME)-თან მიერთების პერსპექტივები და საკითხები.
4. ციფრული უნარების და კომპეტენციების განვითარების პერესპექტივები საქართველოში

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა, დავით ცისკარიძემ და კონსტანტინე ჟღენტმა. მათ ჯგუფის წევრებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრა ჯგუფის სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე, რომელილც მომზადდა მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების მიერ და ელექტრონულად გაიგზავნა ჯგუფის ყველა წევრთან. სამუშაო ჯგუფის წინა შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტი. განიმარტა ყველა მიმდინარე საკითხი, ასევე ამ საკითხების ირგვლივ არსებული პრობლემები და მეორე სამუშაო ჯგუფის შესაძლებლობების განსაზღვრა ამ პრობლემების გადაჭრის გზაზე. შეხვედრის მიმდინარეობისა და სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესში მოხდა კონკრეტული პუნქტების ჩასწორება და კორექტირება, მსჯელობების შედეგად. შეხვედრის დასასრულს საბოლოო სახით ჩამოყალიბდა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად ჯგუფის შეხვედრაზე მოხდა სამუშაო ქვეჯგუფების ფორმირება, ესენია:

1. ფინანსური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა ბიზნესის განვითარებისთვის - კოორდინატორი - ზურაბ კაკაბაძე
2. ციფრული ბაზრების ჰარმონიზება - კოორდინატორი - გივი ქოჩორაძე
3. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა - კოორდინატორი - ნინო ელიზბარაშვილი
4. „სურსათის უვნებლობა და პროდუქციის უსაფრთხოება“ - კოორდინატორი - ლია თოდუა
5. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფი- კოორდინატორი - მარიამ ჯორჯაძე
6. ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა - კოორდინატორი - ზვიად ელიზიანი

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს ის საკითხები, რომლებზეც შესაძლებელია, უახლოეს მომავალში, გაიმართოს სექტორული შეხვერები ეროვნულ პლატფორმასა და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობის შესახებ არსებული მემორანდუმის ფარგლებში. ერთ-ერთი საკითხი იყო ექსტენციის სტრატეგიის საბოლოო დოკუმენტის განხილვა. თემასთან დაკავშირებით მომუშავე ჯგუფის წევრებმა მნიშვნელოვანია რომ წარმოადგინონ თავიანთი შეხედულებები უკვე არსებულ დოკუმენტთან დაკავშირებიტ. ექსტენციის სტრატეგიასთან დაკავშირებული შენიშვნების არსებობა მნიშვნელოვანია, რაადგან მეორე სამუშაო ჯგუფი გეგმავს, რომ მომზადდეს წერილი პრემიერ მინისტრის სახელზე, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიუხედავად იმისა რომ, ჩვენ დროულად მივაწოდეთ რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის სამინისტროს, არ მოხდა მათი გათვალისწინება და ასახვა უკვე დამტკიცებულ სტრატეგიაში და მოვითხოვოთ, რომ მოხდეს მათი ასახვა მომდევნო სტრატეგიის დოკუმენტში, რომლის შემუშავებაც უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. აღნიშნულ საკითხზე იგეგმება სამმხრივ ფორმატში შეხვედრის გამართვა.

შემდეგ საკითხად, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ისაუბრა „კოსმეს პროგრამზე“. აღნიშნული პროგრამის ახალი ჩარჩო გაიხსნება 2021-2027ის ფარგლებში და მნიშვნელოვანია საქართველოს მხრიდან აქტიურად მოხდეს პროგრამაში ჩართვა და ინტეგრირება. პირველ რიგში მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ მიუერთდეს აღნიშნულ

პროგრამას. ამ საკითზე პლატფორმის სახელით მომზადდება წერილი, რომელშიც სწორედ ეს მოთხოვნა იქნება გაჟღერებული, რომ საქართველო გახდეს Executive Agency for Small and Medium-sized Enterprises (EASME) - ის წევრი. შეხვედრაზე, ჯგუფის კოორდინატორებმა, დეტალურად ისაუბრეს ამ პროგრამის ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე, რომლის მიღებასაც შეძლებს ქვეყანა.

მესამე საკითხად დავით ცისკარიძემ წარმოადგინა ა(ა)იპ საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტი **"Contributing to the formation of the agenda and institutional preconditions for enhancing digital competencies in Belarus, Ukraine and Georgia"** საქართველოში, უკრაინელ და ბელორუს პარტნიორებთან ერთად, რომელიც აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის 2019 წლის რე-გრანტინგის პროგრამის ფარგლებში შესრულდა. აქცენტები გაკეთდა პროექტის მიზნებზე, შესრულებულ აქტივობებზე და მიღწეულ შედეგებზე. ოქმს თან ერთვის პროექტის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი ციფრული უნარებისა და კომპეტენციების სახელმძღვანელო და გზამკვლევი. აგრეთვე ისაუბრა ციფრული უნარების და კომპეტენციების სფეროში არსებულ სიტუაციაზე და განვითარების პერესპექტივებზე საქართველოში.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე